www.empoyer.ge

GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

NEWSLETTER

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

იანვარი/თებერვალი-2020

დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით პროფესიული განათლების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებითა და გერმანიის ფედერალური სამინისტროს **BMZ (SEQUA)** მხარდაჭერით „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ პროფესიული განათლების შესახებ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციას სახელწოდებით - **“გამოცდილებათა გაზიარება პროფესიული განათლების სფეროში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და მის მიღმა”,** გახსნა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილმა და გერმანიის საელჩოს წარმომადგენელმა დენიელ ჰაასმა.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ევროპული გამოცდილების გაზიარება და „პროფესიული სწავლებისა და პარტნიორობის პროექტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ პროექტის მიმდინარე შედეგების, არსებული გამოწვევებისა და საქართველოში პროფესიულ განათლებაში ინოვაციური მექანიზმებისა და სისტემების იმპლემენტაციის შესაძლებლობების შესახებ მსჯელობა.

„დღეისთვის შრომის ბაზარზე ძალიან მაღალია მოთხოვნა პროფესიული განათლების კადრებზე. ეს ტენდენცია დღითიდღე იზრდება, ვინაიდან კომპანიებს

ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის კვალდაკვალ ესაჭიროებათ აღნიშნული კვალიფიკაციის თანამშრომლები. შესაბამისად, მიზნობრიობა და დასაქმებაზე ორიენტაცია - ამ მიმართულებით ვმუშაობთ დამსაქმებელთა ასოციაცია ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აქტიურად ვმუშაობთ გერმანული დუალური პროფესიული სწავლების მოდელის დანერგვაზე კონკრეტულ კომპანიებში, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მქონე კადრების შრომის ბაზრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას და შემდგომ დასაქმებას," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს, გერმანიის, აზერბაიჯანის, უკრაინის სომხეთის ბიზნეს გაერთიანებები, სამთავრობო სტრუქტურები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და ევროკავშირის წარმომადგენლები.

საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა **„პროფესიული სწავლებისა და პარტნიორობის პროექტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში"** პროექტის ფარგლებში, რომელსაც ბიზნეს გაერთიანება - „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია" 2017 წლიდან თავის პარტნიორ გერმანულ ორგანიზაციებთან და გერმანიის ფედერალური სამინისტროსთან **BMZ (SEQUA)** ერთად ახორციელებს.

დამსაქმებელთა ასოციაცია სლოვაკ პარტნორებთან ბიზნეს ურთიერთობების გააქტიურებას გეგმავს

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას, საქართველო-სლოვაკეთის სავაჭრო პალატის კერძო სექტორის წარმომადგენლობითობასა (SGCC) და სლოვაკეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოს (RDA) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია განავითარონ და გააძლიერონ სტრატეგიული თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

„ჩვენსა და სლოვაკურ მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ვგეგმავთ რამდენიმე მიმართულებით თანამშრომლობას. კერძოდ, საინფორმაციო ბაზის შექმნა და განვითარება, ბიზნეს მისიების, შეხვედრების, სპეციალიზირებლი სემინარები, გამოფენების სასწავლო ტურები და სხვადასხვა ტიპის გამოცდილებების გაზიარებას როგორც საქართველოში, ისე სლოვაკეთში. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარების საკითხებს და ამ მიმართულებით თანამშრომლობას,“- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

მხარეები უახლოეს მომავალში ერთობლივ აქტივობებს დააანონსებენ, რომლებშიც ბიზნეს სექტორს აქტიური ჩართულობის საშუალება ექნება.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და ENGLISH BOOK EDUCATION ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ

ბიზნეს გაერთიანება - „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა“ და კომპანია „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს სექტორისთვის აქტუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებულ ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

„თანამშრომლობის ფარგლებში ვგეგმავთ სხვადასხვა აქტუალურ თემაზე ერთობლივი ტრენინგების, სემინარების და მოკლე და გრძელვადიან კურსებს. ჩვენი მიზანია, მაღალი დონის საგანმანათლებლო პროდუქტი შევთავაზოთ ბიზნეს სექტორს, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებული იქნება თანამედროვე კონკურენტულ გარემოში ადამიანური რესურსების გაძლიერებისთვის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გამოწვევების გათვალისწინებით. უახლოეს პერიოდში დავაანონსებთ კონკრეტულ ერთობლივ აქტივობებს, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, ბიზნეს სექტორისგან ძალიან მაღალი გამოხმაურება ექნება,“ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წევრ და პარტნიორ კომპანიებთან ერთობლივ პროდუქტებს ქმნის, რომელიც კომპანიებს შორის ურთიერთთანამშრომლობასა და ორმხრივი სარგებლის მოტანაზეა ორიენტირებული.

დამსაქმებელთა ასოციაციამ წევრი კომპანიებისთვის შრომითი ურთიერთობების საკითხებზე ტრენინგები გაიმართა

დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO/DANIDA) პროექტის მხარდაჭერით წევრი კომპანიების წარმომადგენლებისთვის ორდღიანი ტრენინგი გაიმართა თემაზე: „შესაძლებლობათა ზრდა სოციალური დიალოგისა და შრომითი ურთიერთობების მიმართულებით.”

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება ისეთი აქტუალური საკითხების შესახებ, როგორიცაა სოციალური პარტნიორობა, შრომითი ურთიერთობის გამოწვევები, სოციალური დიალოგის მეშვეობით, დავათა გადაწყვეტა, პრევენცია, გადაწყვეტის მექანიზმები, შრომის უსაფრთხოება და სხვ.

„მოხარული ვართ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ხარდაჭერით ჩვენს წევრ კომპანიებს ვაძლევთ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ ისეთი აქტუალური თემატიკის შესახებ გამართულ ტრენინგებსა და სემინარებში, როგორიცაა შრომის კანონმდებლობა, საერთაშორისო და ლოკალური სასამართლო პრაქტიკა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ დედაქალაქის წარმომადგენელი, ისე რეგიონის კომპანიები იღებენ მონაწილეობას. სამომავლოდ ვგეგმავთ, სექტორულ და რეგიონულ ჭრილში შრომითი ურთიერთობების საკითხებზე ტრენინგების ორგანიზებას,“- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

სემინარი წინანდალში, სასტუმრო Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia-ში გაიმართა და მასში 25 კომპანიის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას.

ტრენინგი პროექტის - (ILO/Danida) ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი საქართველოში სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ფარგლებში განხორციელდა.

International Labour Organization

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK
Danida

GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

დამსაქმებელთა ასოციაციისა და ENGLISH BOOK EDUCATION-ის ერთობლივი ღონისძიება

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და English Book Education-ის ორგანიზებით "ნეთვორქინგ" ღონისძიება გაიმართება, რომელსაც ასოციაციის წევრი კომპანიის წარმომადგენელები ესწრებოდნენ.

საქართველოში დღითიდღე აქტუალური ხდება TOEIC ტესტი, რომლის ჩაბარებაც 1979 წლიდან აუცილებელი მოთხოვნაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლების მისაღებად. ღონისძიების მიზანია, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია თავიანთი ბიზნეს საქმიანობის სტანდარტების გაუმჯობესების პროცესში TOEIC-ის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ. ასევე ისაუბრეს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და English Book Education-ის დაგეგმილ ერთობლივ პროექტებზე.

ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ არაფორმალურ გარემოში ბიზნესკონტაქტების გაცვლის, რაც მნიშვნელოვანია საქმიანი ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირებისა და „ნეთვორქინგის" განვითარებისთვის.

ღონისძიება გაიმართება English Book Education-ის სათაო ოფისში გაიმართა.

english book education®

GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

ტრენინგი საბაჟო კანონმდებლობის საკითხებზე

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე: „ახალი საბაჟო კანონმდებლობა, საბაჯო მოთხოვნები და პროცედურები“.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა 2019 წლიდან ამოქმედებული ახალი საბაჟო კანონმდებლობის გაცნობა და იმ საბაჟო პროცედურებში გარკვევა, რომლიც ამ ეაპზე ყველაზე პრობლემატურია ბიზნეს სუბიექტებისთვის.

ტრენინგის გავლის შედეგად საბაჟო წარმომადგენლებს გაუადვილდებათ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება და მიღებულ ცოდნას აქტიურად გამოიყენებენ პრაქტიკაში.

ტრენინგს ესწრებოდნენ კომპანიათა საბაჟო წარმომადგენლები, კომპანიებში საბაჟო საქმიანობის კოორდინატორები, საბაჟო სისტემაში სიახლეების გაცნობის მსურველები და ზოგადად ნებისმიერი პირი, რომელიც გეგმავს ამ სფეროში მოღვაწეობას ან შეხება აქვს საბაჟო პროცედურებთან.

ტრენინგი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვისს სისტემატურად მართავს ტრენინგებს/სემინარებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

საკონტაქტი ინფორმაცია:

მის.: თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #106

ტელ.: 2 14 73 73

მობ.: 514 088 888, 514 077 777

ელ-ფოსტა: employer@employer.ge

ვებ-გვერდი: pr@employer.ge